

### აღმოსავლეთ საქართველოს მთისა და ქართლ-კახური საფერხულო სიმღერების ურთიერთმიმართება

საფერხულო სიმღერა ერთ-ერთი ყველაზე არქაულია ქართულ ხალხურ მუსიკალურ შემოქმედებაში. მის უძველეს წარმომავლობაზე მუსიკალური მახასიათებლების გარდა, მეტყველებს სპეციალური არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული ლიტერატურა. არქეოლოგიური მასალებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თრიალეთის ვერცხლის თასი, რომელზე გამოხატულ სცენასაც მეცნიერები ფერხულად განიხილავენ (ჯანელიძე, 1948:38). ფერხულის მონანილებად მიაჩნიათ სხვადასხვა დროს აღმოჩენილი ითიფალური ფიგურებიც. საინტერესოა ის ფაქტი, რომ არქეოლოგიურ გათხრებში აღმოჩენილია ქალის გამოსახულება სპილოს ძვლის ფირფიტაზე, რომელიც ასევე მიაჩნიათ ფერხულის მონანილედ (გვარამაძე, 1964:51). მნიშვნელოვანია ეთნოგრაფიული ლიტერატურაც, საიდანაც ჩანს ფერხულის დიდი როლი და გავრცელება ხალხის ცხოვრებაში. ფერხულის კვალია აღბეჭდილი ზოგიერთ გასართობ თამაშშიც; ისინი ადრე ფერხულები უნდა ყოფილიყვნენ. ამას გარდა, დიდი იყო ფერხულის როლი ხალხურ თეატრალურ სანახაობებშიც (ჯანელიძე, 1948:99, 215). ფერხული ჩაისახა წარმართულ რიტუალურ ქმედებაში და განვითარების სხვადასხვა სტადია განვლო.

ფერხული სინკრეტული ჟანრია და თავის თავში აერთიანებს მუსიკას, პოეზიასა და მოძრაობას, ამიტომ მისი სრულყოფილი შესწავლისთვის საჭიროა კომპლექსური ანალიზი და სამივე პარამეტრის გათვალისწინება, თუმცა ბუნებრივია, ჩვენთვის ამოსავალი ფერხულის მუსიკალური მხარეა, რომელიც თავისთავად საკმაოდ მრავალფეროვანია.

საფერხულო სიმღერები საქართველოს ყველა მუსიკალურ დიალექტში გვხვდება. სვანეთში, რაჭასა და მესხეთში ისინი ერთ-ერთი წამყვანია. ასევე არანაკლებ მნიშვნელოვანია ფერხულებით ნაკლებად მდიდარი კუთხეების შესწავლა. ამ მხრივ ინტერესს იწვევს აღმოსავლეთ საქართველოს მთისა და ქართლ-კახური სიმღერები და მათი ურთიერთმიმართება, მით უმეტეს, რომ ქართულ მუსიკალურ ფოლკლორისტიკაში ამ პრობლემისათვის სპეციალურად არავის მიუძღვრათ.

აღმოსავლეთ საქართველოს მთა საფერხულო სიმღერების მხრივ საკმაოდ მდიდარ მასალას შეიცავს, თუმცა თითოეულ კუთხეში ისინი არცთუ მრავალფეროვანია. ხევსურეთში ფერხულის ანუ „ფერხისულის“ (როგორც მას ადგილობრივები უწოდებენ) სულ რამდენიმე ნიმუშია ჩანერილი. ისინი მამაკაცთა რეპერტუარში გვხვდება და მნიშვნელოვნად განსხვავდება ხევსურ მამაკაცთა სხვა სიმღერებისგან თავისი მკვეთრად გამოხატული სამნილადობით, მკაფიოდ გამოკვეთილი მელოდიით, ბანის ჩამოყალიბებული ჰარმონიული ფუნქციით, ორპირულობით. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ხევსურეთში ეს ერთადერთი ორხმიანი ჟანრია. „ფერხისულების“ მელოდია დაღმავალი მიმართულებისაა. გამოიყოფა რამდენიმე საორიენტაციო ბგერა, ესენია: სექსტა და სეპტიმა, ე. წ. „მწვერვალწყარო“, სიმღერის დასაწყისში და დაბალი მეორე საფეხური საკადანსო ბრუნვაში. მელოდიაში მარცვლების განანილებისას წარმოიქმნება რიტმული ფორმულა  $h \ q \ \backslash \ q \ h \ \backslash \ \backslash$ . მელოდია შეიძლება დაიყოს ორ ფრაზად, პირველი – შესავალი და მეორე – მისი ინტონაციიდან ამოზრდილი, რომელიც გადადის საკადან-

სო ბრუნვაში (ასლანიშვილი, 1956: 28). მელოდიის განვითარებისას შეიმჩნევა ერთგვარი სეკვენტურობის პრინციპი – მეორე ფრაზა სეკუნდით ქვევიდან იწყება (მაგ. 1).

„ფერხისულის“ აღნაგობისაა ფშაური „ფერხისები“ (მაგ. 2). ისინიც სამნილადა და მარცვლების მელოდიაში განაწილებისას მსგავსი რიტმული ფორმულა მიიღება. შეინიშნება სეკვენტური განვითარების პრინციპი. მელოდიის ორი საორიენტირო ბგერა – მწვერვალწყარო და დაბალი მეორე საფეხური აქ ერთი ფრაზის მანძილზე გვხვდება. ფშაეში გავრცელებულია საქორწილო სიმღერა „ჯვარის წინასა“ (მაგ. 3), რომელიც სრულდებოდა კერიის გარშემოვლისას (არაყიშვილი, 1916:147. მაისურაძე, 1971:58). „ფერხისებთან“ შედარებით მისი მუხლი გაცილებით მოკლეა (ხშირად მუხლი მხოლოდ ერთი ფრაზისგან შედგება). „ფერხისების“ მსგავსად მათაც ახასიათებს სამნილადობა, მელოდიაში მწვერვალწყაროსა და დაბალი მეორე საფეხურის ხაზგასმა.

თუშეთში საფერხულოს ნიშან-თვისებებით გამოირჩევა შ. ასლანიშვილის ჩანერილი „მაყრულები“ (მაგ. 4) და „ზეზვა გაფრინდაული“ (მაგ. 5). ისინი აღმავალი მელოდიის ტიპისაა და ინტონაციურად ძალზე ახლოსაა „იავნანას“ მელოდიასთან, თუმცა სტრუქტურულად მასზე გაცილებით მცირეა. სანყის მონაკვეთში ხაზგასმულია კვარტული და კვინტური ბგერა, ასევე სახასიათო საკადანსო ბრუნვა – დაღმავალი სეკუნდური სვლა ტერციიდან ცენტრალურ ტონში. „იავნანას“ მელოდიის ინტონაციებს შეიცავს თუშური „დალა“ (მაგ. 6) – მიცვალებულის კულტთან დაკავშირებული სიმღერა. მისი მუსიკალური მხარე და შესრულების ფორმა გვაფიქრებინებს, რომ მას საფერხულო წყობასთან გარკვეული კავშირი უნდა ჰქონოდა (კასაბური, 1997:10). თუშეთში ორსართულიანი ფერხულის, „ქორბელელას“ (მაგ. 7) ჰანგი არ ხასიათდება საფერხულო სიმღერის სტილური ნიშნებით. თუშეთში ჩანერილი საფერხულო ტიპის ყველა სიმღერა ერთხმიანია, თუმცა შეიცავს მრავალხმეობის პოტენციას.

ფერხულებით საკმაოდ მდიდარია გუდამაყარი. ფშავ-ხევსურეთის მსგავსად, ამგვარი სიმღერები ორხმეობიანია. გუდამაყრული ფერხულები ფშავ-ხევსურულის სტრუქტურისაა, მხოლოდ მათზე გაცილებით განვითარებული (მაგ. 8). ასლანიშნავია ის ფაქტი, რომ ამ კუთხის „ჯვარის წინასები“ განსხვავდება ფშაურებისგან, მათ „ფერხისების“ სტრუქტურა აქვს (მაგ. 9). გუდამაყრულ ფერხულებში რიტმი არაერთგვაროვანია, თუმცა აშკარად შეიგრძნობა სამნილადობის წამყვანი როლი.

ხევში საფერხულო სიმღერები გვხვდება როგორც მამაკაცთა, ისე ქალთა რეპერტუარში. მოხვევ ქალთა „ფერხისები“ (მაგ. 10) ძალზე მჭიდრო კავშირშია კახურ „დიდებებთან“ (მაგ. 15), ისინი მელოდიის დაღმავალ მოძრაობაზე აიგება. ქალთა საფერხულო სიმღერების მხოლოდ ერთხმეობიანი ვარიანტებია ჩანერილი. მოხვევ მამაკაცთა იმ სიმღერებს, რომლებიც ტრადიციულად ფერხულებად უნდა შესრულებულიყვნენ (მაგალითად „დიდებები“), დაკარგული აქვს საფერხულო სანყისი. სამაგიეროდ, ფერხულის ნიშან-თვისებები თავს იჩენს იმ სიმღერებში, რომლებიც ფერხულად არ იხსენიება (მაგ. 11). ისინი სამხმეობიანია, „იავნანას“ მელოდია მოთავსებულია შუა ხმაში. მათ ახასიათებს მუხლის შემოსაბრუნებელი მონაკვეთი, რომელიც ამავე დროს მოპასუხე მხარის შემოსვლას უკავშირდება (ე.წ. შეჭრილი კადანსი). ასეთ ადგილებში ხაზი ესმება კვარტის ინტერვალს. საყურადღებოა ხევში გავრცელებული ქალთა დატირება „ადაი დადაი“ (მაგ. 12), რომელიც გარკვეულწილად შეიცავს საფერხულოს ნიშნებს (იაშვილი, 1971:71).

საფერხულო სიმღერები მთიულეთში სამ ხმად სრულდება. ისინი დაღმავალი მოძრაობით გამოირჩევა და უახლოვდება როგორც მთის, ისე ქართლ-კახურ ფერხულებს. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ მთიულეთში გვხვდება ორი ნაწილისგან შემდგარი ფერხულიც („ჯვარის წინასა“ მაგ. 13). ორნაწილიანი ფერხულები აღმოსავლეთ საქართველოს მთის სხვა კუთხეებში არ გვხვდება.

ამრიგად, აღმოსავლეთ საქართველოს მთაში გავრცელებულია საფერხულო სიმღერების ორი ძირითადი ჯგუფი: 1) მელოდიის დაღმავალ და 2) აღმავალ მოძრაობაზე აგებული. მათ განსხვავების გარდა, ბევრი საერთოც გააჩნია: სამწილადობა, ორპირულობა, მარცვლების მელოდიაში განაწილებისას მიღებული რიტმული ფორმულა **hq\qh\**.

მთაში საფერხულო სანყისი სხვადასხვა სოციალური დანიშნულების სიმღერებში იჩენს თავს.

ქართლ-კახეთში, აღმოსავლეთ საქართველოს მთასთან შედარებით, ფერხულები უფრო ფართოდაა გავრცელებული. ისინი გვხვდება ქალთა და მამაკაცთა რეპერტუარში. ქალთა საფერხულო სიმღერების ერთი ჯგუფი აიგება „იავნანას“ მელოდიაზე (მაგ. 14), ახასიათებს სამწილადობა, სინკოპური რიტმი, კვადრატული სტრუქტურა, ბანის ორი ჰარმონიული ფუნქციის – ტონიკურისა (I) და დომინანტურის (VII) – თანაბრად გამოყენება, ორპირულობა, მუხლის შემოსაბრუნებელი მონაკვეთი. ვხვდებით ამ სიმღერების ერთ-, ორ- და სამხმიან ვარიანტებს. ქალთა საფერხულო სიმღერების მეორე ჯგუფი დაღმავალ მელოდიაზე აიგება (კახური „დიდებები“, მაგ. 15). მათ პირველი ჯგუფისგან განასხვავებს მუხლის არაკვადრატული აღნაგობა. გარდა ამისა, სიმღერაში უპირატესობა ენიჭება დომინანტურ ფუნქციას, ტონიკური კი – მხოლოდ წინადადების ბოლოს ჩნდება. ამ კატეგორიის სიმღერების სტრუქტურა ემთხვევა მთის „ფერხისებისას“. მათ მსგავსად, კახურ „დიდებებში“ შეინიშნება მელოდიის სეკვენტური განვითარების პრინციპი. ქალთა დაღმავალ მოძრაობაზე აგებულ საფერხულო სიმღერებში გააქტიურებულია ოსტინატური სანყისი.

ქართლ-კახეთში მამაკაცთა ფერხულების ორი დიდი ჯგუფია: 1) მელოდიის აღმავალ და 2) დაღმავალ მოძრაობაზე დაფუძნებული. პირველი ჯგუფის როგორც მელოდიური, ისე სტრუქტურული მხარე „იავნანადა“ ამოზრდილი. ამგვარი ტიპის საფერხულო სიმღერები თავისთავად შეიძლება დავაჯგუფოთ რამდენიმე კატეგორიად: 1) სიმღერები, რომლებიც „იავნანას“ სტრუქტურის იდენტურია (მაგ. 16). ისინი კვადრატული აგებულებისაა. თანაბრად გამოიყენება ტონიკური და დომინანტური ფუნქციები. მეორე ხმა კოორდინირებს კვარტულ და კვინტურ ბგერებზე, ხოლო პირველი – ოქტავაზე. ახასიათებს მუხლის შემოსაბრუნებელი მონაკვეთი. 2) სიმღერები, რომლებიც „იავნანაზე“ მოკლე სტრუქტურისაა (მაგ. 17). მათში გამოიყენებულია „იავნანას“ პირველი წინადადება, ხოლო მეორე წინადადების ნაცვლად ჩასმულია მოკლე საქცევი, რომელიც მუხლის შემობრუნების ფუნქციას ასრულებს. ასეთ სიმღერებში ძირითადად ბანის ტონიკური ფუნქცია გამოიყენება, დომინანტური კი – მხოლოდ წინადადების ბოლოს ჩნდება. 3) სიმღერები, რომლებიც განსხვავდება „იავნანას“ სტრუქტურისგან (უმეტესად მასზე დიდი მოცულობისაა), თუმცა ხშირად მის ინტონაციურ საქცევებზე აიგება (მაგ. 18).

ქართლ-კახეთში მამაკაცთა რეპერტუარის მეორე ჯგუფი დაღმავალი მელოდიით ხასიათდება, მათ პირობითად „მუმლი მუხასას“ ტიპი შეიძლება ვუწოდოთ (მაგ. 19). ისინი განსხვავდება ქალთა დაღმავალ მოძრაობაზე აგებული სიმ-

ღერებისგან. მათი მელოდიის დიაპაზონი (იშვიათი გამონაკლისის გარდა) შეზღუდულია და კვარტის ინტერვალით შემოიფარგლება, გააქტიურებულია ბანის როლი, მისი ფორმულაა VI-VII-I. მუხლი უაღრესად მცირე მოცულობისაა. ყოველივე ამის გამო, წინა პლანზე იწევს ოსტინატური სანყისი, რომელიც მოიცავს, როგორც მელოდიას, ისე ბანს. „მუმლი მუხასას“ ტიპი სახეზეა სხვა ჟანრის სიმღერებშიც (მაგ. 20).

ქართლ-კახეთში გავრცელებულია ორი ნაწილისგან შემდგარი ფერხულე-ბი. ისინი ორ კატეგორიად იყოფა: 1. სიმღერები, რომელთა ნაწილები კონტრასტულია (ასეთ შემთხვევაში ფერხული მეორე ნაწილია. მაგ. 21). 2. სიმღერის ნაწილები მსგავსია (ორივე მათგანი ფერხულია). ხშირად მეორე ნაწილი პირველის ინტონაციურ მასალაზე აიგება (მაგ. 22).

საფერხულო სიმღერები ქართლ-კახეთში შეიძლება დავეყოს სამ ძირითად ჯგუფად: 1) მელოდიის აღმავალ მოძრაობაზე აგებული ქალთა და მამაკაცთა საფერხულო სიმღერები; 2) დაღმავალი მელოდიის შემცველი ქალთა ფერხულეები; 3) მელოდიის დაღმავალ მოძრაობაზე აგებული მამაკაცთა სიმღერები. სამივე ჯგუფს აერთიანებს: სამწილადობა, მარცვლების მელოდიაში განაწილება (რიტმული ფორმულა  $h \quad q \quad \backslash \quad q \quad h \quad \backslash \quad \backslash$ ), ორპირულობა, მუხლის შემოსაბრუნებელი მონაკვეთი.

აღმოსავლეთ საქართველოს მთისა და ქართლ-კახურ საფერხულო სიმღერებს ერთი საფუძველი გააჩნია. პირველ რიგში, მათ აერთიანებს სამწილადობა. როგორც ჩანს, სამწილადობა აღმოსავლეთ საქართველოს საფერხულო სიმღერების ერთ-ერთი ყველაზე ძირეული მახასიათებელია.

აღმოსავლეთ საქართველოს მთასა და ქართლ-კახეთში გავრცელებულია ორი ძირითადი მელოდიური მოდელები: 1. აღმავალი მიმართულების – „იავნანასა“ და 2. დაღმავალი მიმართულების – მთის „ფერხისებისა“ და კახური „დიდებების“ ტიპი. თითოეულ მელოდიურ მოდელებზე აგებული საფერხულო სიმღერები აღმოსავლეთ საქართველოს მთასა და ქართლ-კახეთში ერთმანეთთან ძალზე მჭიდრო კავშირშია. ერთმანეთს ემთხვევა, როგორც მელოდიური ჩარჩო, ისე ზოგადად სტრუქტურა. საფერხულო სიმღერებს აერთიანებს სამწილადობა, მელოდიაში მარცვლების განაწილების თავისებურება, ორპირული შესრულება, მუხლის შემოსაბრუნებელი მონაკვეთი. როგორც აღმოსავლეთ საქართველოს მთაში, ისე ქართლ-კახეთში გავრცელებულია ორი ნაწილისაგან შემდგარი ფერხულეები.

ამგვარად, ამ კუთხეებში გავრცელებული საფერხულო სიმღერების ჩამოყალიბებული საერთო სტილური ნიშან-თვისებები საშუალებას იძლევა, რომ ისინი წარმოვიდგინოთ გარკვეულ მუსიკალურ ჟანრად, რომლის მუსიკალური კანონზომიერებები, საკუთრივ ამ ჟანრის გარდა, აისახა გლოვის, შრომის, საქორწილო სიმღერებში.

**დამონმებული ლიტერატურა**

ასლანიშვილი, შალვა. (1956). *ნარკვევები ქართული ხალხური სიმღერების შესახებ*, II. თბილისი: ხელოვნება.

გვარამაძე, ლილი. (1964). *უძველესი ქართული სარიტუალო ქალთა ცეკვები*. საბჭოთა ხელოვნება, 2:49-51.

იაშვილი, მზია. (1971). *ფერხულის არქაული სახე „მწყობრი“ და მისი შესატყვისი ბგერითი კონსტრუქციები*. საბჭოთა ხელოვნება, 2:66-75.

კასაბური, თეა. (1997). *გლოვის ნესის მუსიკალური მხარე საქართველოში*. სადიპლომო შრომა. თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია.

მაისურაძე, ნანული. (1971). *აღმოსავლეთ საქართველოს მუსიკალური კულტურა*. თბილისი: მეცნიერება.

ჯანელიძე, დიმიტრი. (1948). *ქართული თეატრის ხალხური საწყისები*, ნიგნი I. თბილისი: სახელგამი.

Àðàè-èáá, Àèi èòðé. (1916). *Àðçèi ñèi á í àðí ài í á ò çý èàèúí í á ò ài ð-áñò ài*. Í òèñèè èç V. ò. Òðáí á ò çý èàèúí -Ýí ò ðàò è-áñèí é Èi ò èñé. Í ò ñéà: Òèi ðàò èý Á. Èèñí àðà è Á. Ñi áñ.

მაგალითი 1.  
EXAMPLE 1.

ცხენს ი - ჯდა-ო      წმინ-და      გი-ო -      რგი,      ლურ-ჯა -      სა-ო,  
tskhens i - jda - o      tsmín - da      gí - o -      rgi,      lur - ja - sa - o.

გა - ხე -      ლე-ბულ -      სა.      ცხენს ი -      ჯდა -      წმინ-და  
ga - khe -      le - bul -      sa.      tskhens i -      jda - o      wmin - da

გი-ო -      რგი,      ლურ-ჯა -      სა -      ვო,      გა - ხე -      ლე-ბულ -      სა.  
gí - o -      rgi,      lur - ja - sa -      vo,      ga - khe -      le - bul -      sa.

მაგალითი 2.  
EXAMPLE 2.

I  
პირ - ვე -      ლად -      ო      ღმერ -      თი      ვახ -      სე -      ნოთ,  
pir - ve -      lad - o      ghmer - ti      vakh - se - not,

II  
მემ - რე      ბა - ტო -      ნი -      ო      ჩვე -      ნი -      ა.  
mem - re      ba - to -      ní - o      chve - ní - a.

მაგალითი 3.  
EXAMPLE 3.

I  
ჯვა-რის      წი - ნა -      სა      ჯვა-რი      წი - ნა -      სა  
jva - ris      tsi - na -      sa      jva - ri      tsi - na -      sa

II  
ჯვა-რი      წი - ნა -      სა      ჯვა-რი      წი - ნა -      სა  
jva - ri      tsi - na -      sa      jva - ri      tsi - na -      sa

მაგალითი 4.  
EXAMPLE 4.

I (სოლისტი) (solo) გუნდი coro

მო - დი, თუ მო - მა - ვა - ლი ხარ, მო - დი, თუ  
mo - di, tu mo - ma - va - li khar, mo - di, tu

I

მო - მა - ვა - ლი ხარ. მო - მწყინ - და შე - ნი ლო - დი -  
mo - ma - va - li khar. mo - mtsqin - da she - ni lo - di -

გუნდი

ნი. მო - მწყინ - და შე - ნი ლო - დი - ნი.  
ni. mo - mtsqin - da she - ni lo - di - ni.

მაგალითი 5.  
EXAMPLE 5.

და - ლა - ლე და - ლი და - ლა - ლე და - ლა - ლე და - ლი და - ლა -  
da - la - le da - li da - la - le da - la - le da - li da - la -

3

ლე და - ლა - ლი და - ლი და - ლა - ლე ზე - ზვა - ო გა - ფრინ - და - უ - ლო  
le da - la - li da - li da - la - le ze - zva - o ga - prin - da - u - lo

მაგალითი 6.  
EXAMPLE 6.

I გუნდი coro

და - ლად თქვით, და - ლად, მხე - დრე - ბო. და - - -  
da - lad tkvit, da - lad, mkhe - dre - bo. da - - -

I ლა, და - - - - ლა  
la, da - - - - la

გუნდი

ძნე - ლი - ა და - ლა - ო - ბა - ო და - - - -  
dzne - li - a da - la - o - ba - o da - - - -

I ლა, და - - - - ლა  
la, da - - - - la

მაგალითი 7.  
EXAMPLE 7.

I I და II  
I and II

დღეს ამ დღე - ო - ბა ვი - სი - ა, დღეს ამ დღე - ო - ბა ვი - სი - ა,  
dghes am dghe - o - ba vi - si - a, dghes am dghe - o - ba vi - si - a,

ვშინ - დი - სი ვი - ორ - ვი - სი - ა, ვშინ - დი - სი ვი - ორ - ვი - სი - ა,  
tsmin - di - si gi - or - gi - si - a, tsmin - di - si gi - or - gi - si - a,

მაგალითი 8.  
EXAMPLE 8.

I

ა - ოხ დი - დე - ბა 5 ღმე - რთსა დი - დე - ბა,  
a - okh di - de - ba ghme - rtsa di - de - ba,

ახ დი - დე - ბა - ო ღმე - რთსა და(დი) დი - დე - ბა,  
akh di - de - ba - o ghme - rtsa da (di) di - de - ba

მაგალითი 9.  
EXAMPLE 9.

I II

ჯვა - რი წი - ნა - სა ვო ჯვა - რი წი - ნა - სა ვო ჯვა - რი წი - ნა - სა ვო,  
jva - ri tsi - na - sa vo jva - ri tsi - na - sa jva - ri tsi - na - sa vo

ჯვა - რის წი - ნა - სა ად - გა მხა - რე - სა - ო ად - გა მხა - რე - სა,  
jva - ris tsi - na - sa ad - ga mkha - re - sa - o ad - ga mkha - re - sa

მაგალითი 10.  
 EXAMPLE 10.

ჰა-ი, დი-დე-ბა და ნა-თლის-მცე-მელ - სა დი-დე-ბა და კვი-რე ხთის-შვი - ლსა  
 ha-i, di-de-ba da na-tlis-mce-mel-sa di-de-ba da kvi-re khtis-shvi-lsa

დი-დე-ბა და დი-დე-ბა ყვე-ლა წმი-ნდა - სა გო-გო-ყვა-ლეთ თქვე-ნი ლო - ბა  
 di-de-ba da di-de-ba qve-la tsmi-nda-sa go-go-qva-let tqve-ni lo-ba

მაგალითი 11.  
 EXAMPLE 11.

I II

ქი - ზიყ ბო-ლო - ზე ბო - ლო-ზე ქი - ზიყ ბო - ლო - ზე ო-დო  
 ki - ziq bo-lo-ze bo-lo-ze ki-ziq bo-lo-ze o-do

ლო-ზე-ო ო  
 lo-ze-o o

ქი-ზი-ყ ბო-ლო - ზე ბო - ლო-ზე ქი - ზიყ ბო - ლო - ზე - ო  
 ki-ziq bo-lo-ze bo-lo-ze ki-ziq bo-lo-ze-o

მაგალითი 12.  
 EXAMPLE 12.

ა - დაი ა - დაი ა - დაი ა - დაი  
 a - dai a - dai a - dai a - dai

და-დაი და-დაი და-დაი და-დაი  
 da-dai da-dai da-dai da-dai

ა - დაი ა - დაი ა - დაი  
 a - dai a - dai a - dai

და - დაი და - დაი და - დაი  
 da - dai da - dai da - dai

მაგალითი 13.  
EXAMPLE 13.

I II

ჯვა-რის წი-ნა - სი აჟ ჯვა-რის წი-ნა - სი აჟ შე-მო-ვდგი  
jva - ris tsi - na - sa he jva - ris tsi - na - sa he she - mo - v dgi

ჟქ - სი აჟ შე-მო-ვდგი ჟქ - სი აჟ  
pe - - khi he she - mo - v dgi pe - khi he

I

ერთ სა -  
I ert sa -

II

სია-უ - ღზე შა - ა - ბე - რე ერთ სა - სია-უ - ღზე შა - ა - ბე - რე  
sta - u - lze sha - a - be - re ert sa - sta - u - lze sha - a - be - re

მაგალითი 14.  
EXAMPLE 14.

ახ, ღა - ზა - რე, ღა - ზა - რე, ცას ღრუ - ბე - ლი აჟ - ყა - რე.  
akh, la - za - re, la - za - re, cas ghru - be - li ah - qa - re,

ა - ღარ გვინ - და ცის ნა - მი, ღმერ - თო მო - გვე მზის თვა - ლი!  
a - ghar gvin - da cis na - mi, ghmer - to mo - gve mzis tva - li!

მაგალითი 15.  
EXAMPLE 15.

I II I

დი-დე-ბა და ღმერ-თსა და დი-დე (ბა) დი-დე - ბა და ღმერ-თსა და დი-დე (ბა) -  
di - de - ba da ghmer - tsa da di - de (ba) di - de - ba da ghmer - tsa da di - de (ba) -

ჰოი ჰოი  
hoi hoi

ჰოი ჰოი  
hoi hoi

მაგალითი 16.  
 EXAMPLE 16.

გლე - სამ და გლე - - - სამ სამ - გა - ლო, სამ - გა - ლო  
 gle - sam da gle - - - sam nam - ga - lo, nam - ga - lo

ჩე - მო რკი - ნა - ო, ქა - სუ - რი - სა - - - ო.  
 che - mo rki - na - o, qa - su - ri - sa - - - o.

1.2.3. 4.

მაგალითი 17.  
 EXAMPLE 17.

ჰე შავ - ლეგ, შე - ნი შა - ვი ჩო - ხა, შავ - ლე -  
 he shav - leg. she - ni sha - vi cho - kha, shav - le -

გო. შა - ვათ შა - გი - - ბა - მე - ბი - ა შავ - ლე - გო.  
 go. sha - vat sha - gi - - kha - me - bi - a shav - le - go.

მაგალითი 18.  
 EXAMPLE 18.

ზე - მყრე - ლო, ზე - მყრე - ლო, ძირ - სა და ჩა - მო - სა - ყრე - ლო.  
 ze - mqre - lo, ze - mqre - lo, dzir - sa da cha - mo - sa - qre - lo.

თუ ჩა - მო - ხვალ და ჩა - მო - დი თუ ა - რა და - ლით ჩა - მოგ - ყრი.  
 tu cha - mo - khval da cha - mo - di tu a - ra dza - lit cha - mog - qri.



გაბალოთი 22.  
 EXAMPLE 22.

The musical score consists of two systems. Each system has a vocal line (treble clef) and a piano accompaniment line (treble clef). The key signature is one sharp (F#) and the time signature is 3/4. The lyrics are written below the vocal line.

**System 1:**

ჰეი, ვი-სი-ა, ვი-სი-ა, კა-ლი ღა-მა-ზი, ჰეი,  
 hei, vi-si-a, vi-si-a, ka-li la-ma-zi, ho,

**System 2:**

ჰეი, ახ-ლა კი შე-მო-უ-ა-როთ, ჰეი, ჰეი,  
 hei, akh-la ki she-mo-u-a-rot, ho, ho,